ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 49

22 აპრილი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, ბ. ფირცხელიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:
1. ნოდარ ხიზანიშვილი - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორი;
2. ზურაბ ამბროლაძე - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტუდენტი;
3. მაია პაპუაშვილი - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ კურსდამთავრებული;
4. მარინა ახალაია - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ კურსდამთავრებული;
5. ნონა ღუდუშაური - სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისის“ დირექტორი;
6. ნატალია გერმანოზაშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისის“ სტუდენტი;
7. ემილ მიქაელიანი - სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისის“ კურსდამთავრებული;
8. ანდრია სობოლევი - სასტუმრო „შერატონის“ ბიზნესპარტნიორი;
9. მათე ტაკიძე - სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორი;
10. ლევან ჩირაური - სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ სტუდენტი;
11. ლევან ნატროშვილი - სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ კურსდამთავრებული;
12. პაატა რუსაძე - ბიზნესმენი, კომპანია „ევრომასტერის“ დამფუძნებელი, დამსაქმებელი;
13. რუსუდან ჩართოლანი - ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ დირექტორი;
14. ილია ასათიანი - ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ სტუდენტი;
15. მეგი მესხი - ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ კურსდამთავრებული;
16. ხათუნა ჩხარტიშვილი - ჰიპერმარკეტების ქსელ „გუდვილის“ წარმომადგენელი (დამსაქმებელი).

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** მუნიციპალიტეტის როლი პროფესიული განათლების განვითარების საკითხებში.

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ქიტიაშვილი
თანამდებობა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

თანამომხსენებელი: ქალბატონი თამარ სამხარაძე
თანამდებობა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი);

თანამომხსენებელი: ქალბატონი ნანი დალაქიშვილი
თანამდებობა: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თანამომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა წევრთა მიერ.

მოისმინეს:

ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, მიმდინარე სხდომაზე განიხილება მუნიციპალიტეტის როლი პროფესიული განათლების განვითარებაში, და ამ კუთხით, პროფესიული განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას, ცალკეულ ხარვეზებსა და ასევე, მიღწევებს, რომლებიც თბილისის მუნიციპალიტეტსა და ზოგადად, ქვეყანაშია. მისი თქმით, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, სხდომას ასევე ესწრებიან ქალაქ თბილისის საკრებულოს დეპუტატები, რადგან მათ პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და თბილისის მერიის შესაბამის პროგრამებზე მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. კომისიის თავმჯდომარის ცნობით, სხვადასხვა პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული, რომელიც მიმდინარე სხდომაზე იმყოფება, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ისაუბრებენ პროფესიულ პროგრამებე და თავიანთ მიღწევებზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბოლო წლების განმავლობაში, ამჟამად ფუნქციონირებენ მაღალი დონის პროფესიული კოლეჯები და მათი კურსდამთავრებულების დასაქმებაში კერძო სექტორის ჩართულობაც საკმაოდ დიდია. ხოლო მიმდინარე შეხვედრის მიზანია, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების პროგრამების განმახორციელებელი ორგანოების კოორდინაცია, განხილულ იქნეს არსებული

ხარვეზები და მომავალი ნაბჯები, რომლებიც კიდევ უფრო განავითარებს პროფესიულ პროგრამებს. ბატონი გიორგი ტყემალაძის თქმით, კარგია, რომ დღევანდელ სხდომას პროფესიული კოლეჯების ხელმძღვანელები, კურსდამთავრებულები და კერძო სექტორის წარომადგენლები, ანუ უშუალო დამსაქმებლები ესწრებიან. მანვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებისა და მაჟორიტარების როლი მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისთვის და სასურველია ისინი მეტად ჩაერთონ ამგვარი პროგრამების პოპულარიზაციაში. საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას მსგავსი ფორმატით სხდომის გამართვისთვის.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ სხდომას დისტანციური რეჟიმში, ზუმის მეშვეობით ჩაერთვება საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადილე, გიორგი ამილახვარი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი თამარ ქიტიაშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ ირაკლი გვილავას, რომელმაც აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი მართლაც აქტუალურია, განსაკუთრებით კი დღეს, პანდემიის პერიოდში. მისი თქმით, პროფესიული გადამზადების მიმართულებით თბილისის მერია აქტიურად 2018 წლიდან მუშაობს. პირველი წელი მოსამზადებელი, საპილოტე პერიოდი იყო, როდესაც თბილისის მერიამ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან ერთად დაამუშავა პროექტი, რომელსაც თბილისის საკრებულომ დაუჭირა მხარი. აღნიშნული პერიოდი დაეთმო მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელებას და შემდეგი წელი კი ბევრად უფრო მასშტაბური იყო. დღეისთვის თბილისის მერიასთან თანამშრომლობს 4 პროფესიული სასწავლებელი: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი", სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი", სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისი",სსიპ კოლეჯი „სპექტრი". ბატონმა ირაკლი გვილავამ მიმართა აღნიშნული კოლეჯების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა მათ თბილისის მერიასთან თანამშრომლობისა და პერსპექტიული საქმინაობისთვის. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალური პროფესიული პროგრამით „ისწავლე და დასაქმდი" გათალისწინებული გადამზადების კურსები მოკლევადიანია, რაც მას გამოარჩევს თავისი ეფექტურობითა და მოქნილობით. პროგრამაში მონაწილეობისთვის დაინტერესებული პირი უნდა იყოს ქალაქ თბილისში საცხოვრებლად რეგისტრირებული, სრულწლოვანი, რომელიც შემდეგ გასაუბრებას გადის აღნიშნულ პროფესიულ სასწავლებლებში. თბილისის მერიამ შექმნა სპეციალური საიტი - www.dasakmdi.ge, რომელიც ამარტივებს კომუნიკაციას პროფესიულ სასწავლებელს, თბილისის მერიასა და დამსაქმებელს შორის. რაც მთავარია, მოქალაქე ადვილად იღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას. ბატონი ირაკლი გივლავას ცნობით, ბოლო ორი წლის განმავლობაში პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი"-ს მონაწილე დაახლოებით 2000 ადამიანი გადამზადდა, დასაქმების მაჩვენებელი 70-80%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მონაწილეობისთვის ასაკობრივი ზედა ზღვარი არ არის შეზღუდული და ზოგჯერ მასში მონაწილეობენ უფროსი ასაკის ადამიანებიც. ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ ამ პროფესიული მომზადების პროგრამას მოქნილი გრაფიკი აქვს და იგი თავისუფლად ერგება უმაღლესი სასწავლებლების

სტუდენტების მოთხოვენს, ასევეა კურსამთავრებულთა დასაქმების გრაფიკიც, რომელიც შეესაბამება უცხოეთის ანალოგიურ გამოცდილებას. მისივე ცნობით, აღნიშნული პროგრამის დაწყებიდან ყოველ წელს იზრდება მისი ბიუჯეტი, ასევე 2020-2021 წელს იმატა დარეგისტრირებულთა რაოდენობამ და კონკურსიც უფრო კონკურენტულია, რადგანაც პანდემიის პირობებში ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამსახური, ზოგს კი კვალიფიკაციის ამაღლება, ან სხვა დარგში ცოდნისა და გამოცდილების მიღება დასჭირდა და პროფესიული განათლების პროგრამას მიმართა.

ბატონი ირაკლი გვილავას თქმით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა პროფესიულ სასწავლებლებთან ერთად დაამუშავა პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი"-ს ღირებულება, შედეგად დადგინდა, რომ ერთი მოქალაქის გადამზადებაზე 300 ლარი იხარჯება. ამდენად მერიას აქვს შესაძლებლობა პროგრამის დაფინანსება ყოველწლიურად გაზარდოს და ხელი შეუწყოს ადამიანების ხელშეწყობას, რომელთაგან ბევრი მუნიციპალურ ორგანიზაციებში არიან დასაქმებულები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიაში" მუშაობა, სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა სიტყვა გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ქალბატონი თამარ ქიტიაშვილს, რომელიც დისტანციურ რეჟიმში ჩაერთო მიმდინარე სხდომას. მან მადლობა გადაუხადა განათლებისა და კულტურის კომისიას სხდომის ინიცირებისა და მოწვევისთვის და განმარტა, რომ 2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს საგანმანათლებლო რეფორმას, რომლის ერთ-ერთი ნაწილიც პროფესიული განათლებაა. ეს დარგი უკვე მეორე წელია რაც ფორმალური სახით დაინერგა საქართველოში, თუმცა ქალაქ თბილისის მერია უკვე კარგა ხანია, ახორციელებს არაფორმალური პროფესიული განათლების პროგრამას და არსებობს წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები თბილისში მდებარე პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯებთან. გასულ წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეხვედრა ჰქონდა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან, სადაც განიხილა საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების ეტაპები მომზადება-გადამზადების კუთხით, საუბარი შეეხო ფორმალური განათლების კომპონენტს, სახელმწიფო-სასერტიფიკატო პროგრამებს და სამინისტრომ გამოთქვა მზაობა აქტიურად ეთანამშრომლა თბილისის მერიასთან, რათა მუნიციპალური პროფესიული განათლების პროგრამები თანხვედრაში მოვიდეს ფორმალური განათლების სასერტიფიკატო პროგრამებთან, მის შინაარსა და ფორმატთან, და შედეგად, პროგრამების ბენეფიციარებს მიეცეთ დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მუშაობა და სასიხარულოა, რომ მომავალში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პარტნიორებს წარედგინებათ ფორმალური პროფესიული განათლების პროგრამები.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ფორმალური პროფესიული განათლების პროგრამები იმიტომ არის მეტად საინტერესო ბენეფიციარებისთვის, რომ პროგრამებს ახორციელებენ სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები

და მათი დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. ამასთანავე, ამ პროგრამების გავლისას მიღებული კრედიტები აღიარებული იქნება პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რაც ძალიან დიდი უპირატესობა იქნება კურდსამთავრებულებისთვის.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ თვითმმართველობები, არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტი, აქტიურობენ პროფესიული განათლების პროგრამების მიმართულებით, რაც დადებითი ტენდენციაა, თუმცა, თბილისის მერია კვლავაც რჩება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმთავრეს დასაყრდენად. სამინისტროს მიზანია პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებისას პროცესის დეცენტრალიზაცია, რაც მოიაზრებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფრო აქტიურ ჩართულობას არა მხოლოდ პროფესიული პროგრამების დაფინანსების კუთხით, არამედ პროფესიული კოლეჯების მართვის კუთხითაც. ამდენად, სამინისტრო მოხარული იქნება იმსჯელოს ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიული განათლების განვითარების პროცესებში ჩართულობაზე და მომავალი ვექტორების განსაზღვრაზე, რადგან სწორედ ასეთი მიდგომა წარმოადგენს ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას. მისივე თქმით, დღეისთვის საქართველოში მომწიფებულია მდგომარეობა, რაც იძლევა მსჯელობის საშუალებას, თუ რა როლი და ფუნქცია უნდა შეასრულონ თვითმმართველობებმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაში.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, ადრეულ ზაფხულში შესაძლოა ჩატარდეს კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება თემას - თვითმმართველობა პროფესიული განათლებისთვის, რაზეც განიხილება პროფესიული განათლების დარგში არსებული გამოწვევები და წარმოჩინდეს დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ სამინისტროს ამ საქმეშიც ექნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა სიტყვა გადასცა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადილეს, ბატონ გიორგი ამილახვარს, რომელიც აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი მართლაც მნიშვნელოვანი და აქტუალურია; მისი თქმით, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრებმა გასულ პერიოდში პირადად მოინახულეს თბილისში მდებარე პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები და კმაყოფილნი არიან იქ არსებული მდგომარეობით, მიესალმებიან მუნიციპალური პროფესიული პროგრამების შედეგად მიღწეულ დასაქმების მაჩვენებელს. ბატონმა გიორგიმ განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტი და განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი მიესალმება პროფესიული განათლების დაწესებულებების დეცენტრალიზაციის პროცესს. მისივე თქმით, ზოგადი განათლები მსგავსად, პროფესიულ განათლებაშიც უნდა არსებობდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისი ვადები. თბილისის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველობა ნამდვილად გამორჩეულია თავისი ადამიანური რესურსით და ფინანსური შესაძლებლობებით და შესაბამისად, ხსენებული სამოქმედო გეგმის შემუშავება დედაქალაქში მართლაც განხორციელებადია.

ბატონი გიორგი ამილახვარის აღნიშვნით, სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ შეცვალოს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის დღეს არსებული დაუბალანსებელი პროპროცია.

პროფესიული განათლების პოლიტიკაზე და პოლიტიკის დოკუმენტზე საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი ახლაც მუშაობს და შესაბამისი პროექტის შემუშავების შემდეგ მის განხილვაში ჩაერთვება თვითმმართველობა, ამდენად ეს საკითხი თბილისის მუნიციპალიტეტის გარეშე არ განიხილება. ბატონი გიორგის თქმით, სამწუხაროდ, დღეს მოსახლეობაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ პროფესიული განათლება ნაკლებად პრესტიჟულია, თითქოს პროფესიულ პროგრამებზე უნდა ჩაირიცხონ ის ადამიანები, რომლებიც ვერ ხვდებიან უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში. ამდენად, საქართველოს პარლამენტმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მუნიციპალიტეტებმა ერთობლივად აქტიურად უნდა იმუშაონ, რომ სკოლებში ინტეგრირდეს პროფესიული განათლების პრორგამები და პროფესიული კოლეჯების განვითარების პარალელურად, პროფესიული პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებშიც დაინერგოს; პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა მზარდია, ამდენად უწყებები უნდა გაერთიანდნენ და ერთობლივად აუხსნან მოსახლეობას პროფესიული განათლების მნიშვნელობა. მეორეს მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხარისხიც, რომ მზარდი მოთხოვნა ხარისხიანად დაკმაყოფილდეს. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ამასთანავე, კომიტეტი ცალკე ფორმატშიც იმსჯელებს მუნიციპალიტეტებთან ერთად პროფესიული განათლების მხარდამჭერ ღონისძიებებზე. ბატონმა გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი პროფესიული განათლების პროგრამებს მომავალშიც დაუჭერს მხარს და მზად არის თანამშრომლობისთვის.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულო ცდილობს შესაძლოდ ბევრი ადამიანი ჩართოს მუნიციპალური პროფესიული განათლების პროგრამების პოპულარიზაციის პროცესში, შესაბამისად, კომისიის საქმიანობა მხოლოდ სხდომის ჩატარებით არ დასრულდება; სკოლებში და არამხოლოდ იქ, არამედ სხვა დაწესებულებებშიც იგეგმება აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმართვა თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების დახმარებით, რათა ეს საკითხი საზოგადოებისა და პროფესიის მაძიებელი პირებისთვის უფრო აქტუალური გახდეს. კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ გიორგი ამილახვარს მსჯელობაში მონაწილეობისთვის და სიტყვა გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ თამარ სამხარაძეს.

ქალბატონი თამარ სამხარაძის თქმით, მისასალმებელია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი ქვეყნის ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პროფესიული განათლების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. ბოლო წლების განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით განსაკუთრებით გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობებისა დაინტერესება პროფესიული განათლების განვითარებასთან დაკავშირებით. ქალბატონი თამარ სამხარაძის განმარტებით, ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც მოსახლეობასთან ერთ-ერთ ყველაზე ახლოს მდგომმ სახელმწიფო ინსტიტუციას, შეუძლია მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულოს მოსახლეობის ინფორმირების კუთხით, იგი დაანახვებს ადამიანებს, რომ პროფესიულ განათლებას შეუძლია

რეალური სარგებელი მოუტანოს თითოეულ მოქალაქეს. დღეისთვის, რეალურად პროფესიული განათლების დარგში არსებული შესაძლებლობები მხოლოდ ნაწილობრივაა გამოყენებული. თბილისის მუნიციპალიტეტს და მის პარტნიორ კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით შეუძლია შემოიღოს პროფესიული განათლების ის სპეციალიზციები, რომლებიც აქამდე არ არსებობდა, თუმცა ბაზარზე მათდამი მოთხოვნა მზარდია. ქალბატონმა თამარ სამხარაძემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების პროგრამების სახელმწიფო სერტიფიცირება 2019 წლიდან დაიწყო, რომელიც პანდემიის მიუხედავად, კერძო სექტორის დაინტერესებისა და დახმარების ფონზე, გაფართოვდა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს მხარი დაუჭირეს პროფესიული განათლების კოლეჯებმაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალში თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული პროფესიული განათლების პროგრამებიც სერტიფიცირებული გახდეს, რათა მათმა კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ სახლმწიფოს მიერ დადგენილი ხარისხის სტანდარტი. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, ხანგრძლივი პროფესიული კურსების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი ოდნავ დაბალია, ვიდრე მოკლე პროფესიულ სასწავლო პროგრამებზე, რომელსაც ამჟამად თბილისის მერია აფინანსებს და სადაც დასაქმების მაჩვენებელი 80%-ს აღწევს. თუმცა არის დასაქმების 100%-იანი შემთხვევებიც, როდესაც კონკრეტული დამსაქმებელი კომპანია პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების ერთ-ერთი განმახორციელებელია.

ქალბატონი თამარ სამხარაძის თქმით, იმის მიუხედავად, რომ პროფესიულ სწავლებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო, სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს აქვთ სხვა გამოწვევებიც, რაც მათ არ აძლევს შესაძლებლობას მიიღონ პროფესიული განათლება. ამდენად, მუნიციპალიტეტებმა ისინი უნდა უზრუნველყონ საკუთარი სერვისებით, მაგალითად, სატრანსპორტო შეღავათებით და სხვადასხვა ტიპის სოციალური მხარდაჭერით; აგრეთვე, ღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასშტაბი გასაზრდელია, რადგან დღეს არსებული მაჩვენებლები არა არის საკმარისი პროფესიულ განათლებაში გარდამტეხი ცვლილებებისთვის. თუმცა, თუ სახელმწიფო უწყებების რესურსები გაერთიანდება და მიიმართება პროფესიული განათლების განვითარებაზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ხელს შეუწყობს ქვეყანაში სიღარიბის დამარცხებას.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა სიტყვა გადასცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი უწყება პროფესიული განათლების განვითარებისთვის ბოლო წლებში მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს, რამდენადაც პროფესიული განათლების ხარისხის დაცვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია, შიეცვალა შესაბამისი კანონმდებლობა, ისევე როგორც, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტები და ახალ სტანდარტებზე გადასვლამ თავისთავად შეცვალა სასწავლო პროგრამების შინაარსი. სამინისტროს მხარდჭერით, ასევე გაუმჯობესდა პროფესიული კოლეჯების ინფრასტრუქტურა. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, 2 წლის წინ შემოღებულ იქნა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სერტიფიცირება, რომელიც ასევე ვრცელდება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე. სერტიფიცირებისთვის დადგენილია შესაბამისი პროცედურა, სტანდარტები და ეტაპები. ამდენად, სერტიფიცირება ხორციელდება პროფესიული

განათლების პროგრამების ხარისხის შრომის საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის და სტატისტიკაც მის პოპულარობას ადასტურებს. ქვეყნის მასშტაბით 40-მდე იურიდიულმა პირმა მოიპოვა შესაბამისი სერტიფიკატი და სერიტიფიცირებული პროგრამების რაოდენობა 230-ს აჭარბებს, ხოლო პროგრამების ბენეფიციართა კონტიგენტი კი 1500-ზე მეტია. ქალბატონი ნანი დალაქიშვილის განმარტებით, გასული წალი მართლაც ძალიან აქტიური გახლდათ, თბილსის ექვსივე სახელმწიფო საგანმანათლებლო პროფესიულ დაწესებულებას აქვს სერტიფიცირებული პროგრამები, ამას გარდა, ქალაქში ფუნქციონირებს რვაზე მეტი იურიდიული პირი, რომლებმაც სერტიფიცირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება მიიღო. მიმდინარე წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო დასაქმების პროგრამა სრულად დაეფუძნა სერტიფიცირებული პროფესიული განათლების პროგრამებს, ანუ ფინანსდება მხოლოდ ის პროგრამები, რომლებზეც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერაა გაცემული უფლება. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ პროფესიული განათლების პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით საჭიროა სხვადასხვა ორგანოს მეტი ძალისხმევა, მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საზოგადოებას, რაც აამაღლებს პროფესიული განათლების, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტის, მნიშვნელობასა და ბენეფიციართა რაოდენობას.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სხდომაზე დამსწრე, პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან უშუალოდ საუბარი მსგავს საკთხებზე, მაგალითად, რამდენად საკმარისია პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა რაოდენობა, რომელი სპეციალიზაციის მასწავლებლების დამატებაა საჭირო, რამდენად სრულყოფილადაა აღჭურვილი პროფესიული დაწესებულებები შესაბამისი სასწავლო პროგრამის წარმართვისთვის და რომელი სასწავლო პროგრამების დამატების საჭიროება იკვეთება დღეს.

სსიპ კოლეჯის „სპექტრი" დირექტორმა, ბატონმა მათე ტაკიძემ, აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება არის ქვეყანაში პროფესიონალი კადრების ზრდის ქვაკუთხედი; მსოფლიო ბანკის 2019 წლის კვლევების შესაბამისად, საქართველოში ბიზნესგარემოსა და ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლის ადამიანური რესურსის არარსებობა და პრობლემები. ამდენად, მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი წევრები მეტად უნდა ჩაერთონ პროფესიული სასწავლო პროგრამების პოპულარიზაციაში თავიანთი სამაჟორიტარო ბიუროებისა და თანამშრომლების დახმარებით. პროფესიული განათლების დაწესებულებები უამრავ საჯარო შეხვედრას მართავენ მოსახლეობასთან, საჯარო სკოლებში და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ისინი თანამშრომლობენ ისანი-სამგორის მაჟორიტარ დეპუტატებთან, როგორც საქართველოს პარლამენტიდან ასევე თბილისის საკრებულოდან. ბატონმა მათე ტიკაძემ დამატებით აღნიშნა, რომ პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ თბილისის მუნიციპალურ პროფესიული განათლების პროგრამაზე ჩაირიცხა 420 ადამიანი, რომლის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და მეორე ეტაპი დაიწყება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდგომ, როდესაც უქმე დღეები დასრულდება. რაც შეეხება მოთხოვნილების ზრდას, პროფესიულ კოლეჯებს აქვთ მომზადება-გადამზადების 18 პროფესიული პროგრამა, რომელთაგან უმეტესობა ავტორიზებული და დადასტურებულია, ხოლო დანარჩენზე უქმე დღეების შემდეგ შეიტანება განაცხადი ავოტირზებისა და დადასტურებისთვის. მომზადება-გადამზადების სახელმწიფო

პროგრამაზე ბენეფიციართა საკმაოდ დიდი რაოდენობაა, ჯანდაცვის პროგრამებზე 5 მიმართულებაა და ამას ემატება, თბილისის მერიის პროგრამები, რომლებშიც პროფესიული კოლეჯები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელია ბაზარზე, განსაკუთრებით სამშენებლო ინჟინერიის მიმართულებაში. ბატონმა მათე ტაკაძემ მიმართა სხდომის მონაწილეებს და მზაობა გამოთქვა ადგილზე, პროფესიულ კოლეჯში უმასპინძლოს მათ, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, სულ მცირე მსხვილ 50 ოპერატორთან ერთად, გააცნოს სასწავლო პროცესი და კოლეჯის მატერიალურ-ტექნოლოგიური ბაზა. მისივე თქმით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ტყემალაძე ადრე იმყოფებოდა მსგავს შეხვედრაზე, იგი პირადად შეხვდა ბიზნესის წარმომადგენლებს. მისასალმებელი იქნება, განათლებისა და კულტურის კომისიის გასვლითი სხდომა ჩატარდეს რომელიმე პროფესიულ კოლეჯში, რომელსაც დაესწრება სხვადასხვა პროფილის დამსაქმებელი და რაც გარკვეულწილად მოახდენს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. მიუხედავად, პროფესიული პროგრამების ასეთი მაჩვენებლებისა, დღეს ბიზნეს სექტორის მოთხოვნა მაინც ვერ კმაყოფილდება, რადგან მათ მეტი მომზადებული პროფესიული კადრი სჭირდებათ. ბიზნესი არამხოლოდ პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმებისთვის ახდენენ ინვესტირებას პროფესიულ კოლეჯებთან, არამედ უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თბილისის მერია. ამდენად მიზანშეწონილია მისი შესაძლებლობების კიდევ უფრო გაზრდა.

ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი დაეთანხმა შემოთავაზებულ წინადადებას, რომ კომისიის გასვლითი სხდომები ჩატარდეს პროფესიულ კოლეჯებში და დაიწყოს მასშტაბური კამპანია. მანვე შეკითხვით მიმართა სხდომაზე დამსწრე ერთ-ერთ ბიზნესმენსა და დამსაქმებელს, ბატონ პაატა რუსაძეს, თუ როგორ დაუკავშირდა სსიპ კოლეჯი „სპექტრს" და რომელი პროფილის სპეციალისტს ეძებდა. ბატონმა პაატა რუსაძემ აღნიშნა, რომ იგი არის კომპანია „ევრომასტერის" დამფუძნებელი, რომელიც საქმიანობს მიწისქვეშა კომუნიკაციების სფეროში და კოლეჯ „სპექტრთან" ერთად შვიდი წლის წინ განახორციელა ორმაგი სწავლების სასერტიფიკატო პროგრამა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ თურქეთიდან მოწვეული სპეციალისტებიც. პროგრამის გავლის შედეგად მომზადდნენ ელექტრო შემდუღებლები და წყლისა და გაზის უსაფრთხოების სპეციალისტები. ამჟამად, თბილისში მიწისქვეშა კომუნიკაციების განთავსებამდე, კომპანია ადგენს სპეციალურ რუკებს, რომელსაც ეყრდნობა დედაქალაქის მერია შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას. მანვე მადლობა გადაუხადა თბილისის მერიას პროფესიული პროგრამების განხორციელებაში დახმარებისთვის.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, რომლის განვითარების ეტაპი ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ უკვე გაიარა. მან მიმართა ქალბატონ ნანი დალაქიშვილს და სთხოვა თბილისში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სია მიეწოდებინა განათლებისა და კულტურის კომიისთვის და სთხოვა დაესახელებინა, თუ კონკრეტულად რომელი დაწესებულებები იღებენ პროფესიული განათლების პროგრამების მიწოდებაზე უფლებას.
მან ასევე შეკთხვით მიმართა ბატონ ირაკლი გვილავას და დაინტერესდა, თუ აქვს თბილისის მერიას პროფესიული განათლების საჭიროებების შესახებ რაიმე კვლევა. ქალბატონი მარიკა დარჩიას თქმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა ჰქონდეს

პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სია, რომლის შედგენაც მიზანშეწონილია.

საპასუხოდ ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის სტანდარტები საქართველოს მთავრობის მიერაა დადგენილი, რომლის მიხედვითაც მოწმდება მათი ხარისხი, ასევე 2 წელია რაც მოქმედებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული საბჭო, რომელიც წყვეტს მიეცეს თუ არა კონკრეტულ ორგანიზაციას პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება. ერთობლიობაში 230 საგანმანათლებლო პროგრამაა, ქვეყნის მასშტაბით კი 60 ორგანიზაციაა, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვადასხვა კომპანია, რომლებსაც პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება აქვს. ქალაქის მასტაბით ასეთი 23 ორგანიზაციაა და 90 სასწავლო პროგრამა მოქმედებს. მაგალითად, ერთობლივად პროფესიულ პროგრამას ახორციელებენ „დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია" და ერთ-ერთი კერძო კოლეჯი. რაც შეეხება პრიორიტეტებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს როგორც პროფესიული პროგრამების დაფინანსების, ასევე მათი გამოცხადების პრიორიტეტებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს კვლევებს, სადაც აღნიშნულია თუ რომელ პროფესიულ უნარებზეა მოთხოვნა შრომის ბაზარზე. აღნიშნული კვლევები ყოველწლიურად მიეწოდებათ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. ამას გარდა, პროფესიული სასწავლო პროგრამის შექმნამდე, პროფესიული კოლეჯები ვალდებულნი არიან მოიკვლიონ ადგილობრივი და რეგიონული შრომის ბაზარი მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ასევე კომპანიების მოთხვნები და თავიანთი სასწავლო გეგმაც მას შეუსაბამონ.

ქალბატონმა თამარ სამხარაძემ აღნიშნა, რომ პროფესიულ განათლებას აქვს მრავალი განზომილება, დარგი და ეკონომიკური სექტორი. შესაბამისად, მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოწოდება არაა საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად, თუ თვითონ დარგის წარმომადგენლები არ აქტიურობენ და ბიზნესსექტორის მხარდაჭერაც არ იქნება. ამიტომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მუშაობა გააძლიერა დარგობრივ ასოციაციებთან, კერძოდ მშენებელთა ასოციაციასთან, ფერმერთა ასოციაციასთან, დისტრიბუტორთა ასოციაციასთან და სხვა გაერთანებებთან. ბოლო დროის ტენდენციები ცხადყოფენ, რომ მათ მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიები ზოგადად პროფესიული განათლების პოპულარიზაციას კი არ ემსახურება, არამედ კონკრეტული პროფესიებისა და მათთან დაკავშირებული საქმიანობების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ქართული პრაქტიკა, ისევე როგორც, საერთაშორისო პრაქტიკაც აჩვენებს, რომ ამ ტიპის დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის სამინისტროს პიარ-აქტივობებზე მეტად ეფექტიანია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრს აქვს ტექნიკური შესაძლებლობა, რომ მის ბაზაზე ჩაიწეროს გადაცემები და საიმიჯო რგოლები, რომლებიც სულ მცირე სოციალური მედიით გავრცელდება და ბევრი მომხმარებელი ნახავს. თუმცა, თუ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია საერთო პასუხისმგებლობის საგანი არ გახდება, მხოლოდ

სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი, კერძო სექტორი, ან კონკრეტული კომპანია მას ვერ განავითარებს.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია სკოლების ხელმძღვანელებისთვის ინფორმაციის მიწოდება, მათთან თანამშრომლობა, რომ მათ გამოავლინონ მაღალი კლასის მოსწავლეთა ინტერესები, თუ რომელ პროფესიულ პროგრამაზე სწავლას ისურვებდნენ ისინი. ანუ საჭიროა უშუალოდ ახალგარზდებთან მუშაობა. კომისიის წევრის თქმით, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" სანიმუშოა, რომელიც მრავალი მიმართულებით ამზადებს პროფესიულ კადრებს და დანერგილი აქვს საუკეთესო ტექნოლოგიები.

ქალბატონმა თამარ სამხარაძემ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები ცალკეულ სკოლებში არ დადიან, არამედ ძირითადად მუნიციპალიტეტებსა და მათ ხელმძღვანელებს ხვდებიან, რათა დაარწმუნოს ისინი, რომ მათ უშუალოდ შეუძლიათ საკუთარ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესება, მოსახლეობის უკეთ ინფორმირება. კომისიის თავმჯდომარემ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ მართლაც ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო ინფორმირება და მასთან პირდაპირი თანამშრომლობა სცდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაძლებლობებს და ამ პროცესში მუნიციპალიტეტების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის" დირექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ჩართოლანმა განმარტა, რომ მათი კოლეჯი ტურიზმის სფეროზეა სპეციალიზებული, თუმცა მოთხოვნად მიმართულებებზე საინტერესო პროგრამები აქვს, რომლებზეც ყოველთვის მასშტაბური კონკურსები იმართება. კოლეჯის პედაგოგები, ძირითადად, ბიზნესსექტორიდან წამოსული პროფესიონალები არიან, მაგალითად: შეფმზარეულები, შეფკონდიტერები, სასტუმროს მენეჯერები. ქალბატონი რუსუდანის ინფორმაციით, კოლეჯ „იკაროსს" რეაბილიტაცია 2008 წელს ჩაუტარდა და მას შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მაქსიმალურად ხშირად ახალი აღჭურვილობით ამარაგებს მას, ამიტომ კოლეჯი ევროპული სტანდარტების მიხედვითაა აღჭურვილი. სწავლების პროცესში 70% პრაქტიკული, ხოლო 30% - თეორიული კომპონენტია. კურსდამთავრებულთა 87% დასაქმებულია. რამდენიმე კურსდამთავრებული სტაჟირებაზე იმყოფებოდა გერმანიაში. უფრო მეტიც, ერთ-ერთი პროგრამა გერმანულ მხარესთან თანამშრომლობით განხორციელდა. მსხვილი კომპანიები, როგორიცაა „სასტუმრო მარიოტი-თბილისი", „ჰუალინგ ჯგუფი", „სასტუმრო ბილტმორი" უკვე დაინტერესდნენ კოლეჯ „იკაროსთან" თანამშრომლობით. მისივე განმარტებით, თბილისის მუნიციპალური პროფესიული პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი" პირველად სწორედ კოლეჯ „იკაროსში" დაიწყო 2018 წელს და მერიასთან თანამშრომლობით განხორციელებული ყველა პროფესიული პროგრამა ბაზრის კვლევის საფუძველზე შემუშავდა. ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა „იკაროსმა" უკვე გადახედა თავის პროფესიულ სასწავლო პროგრამებს და მომავალში მის მიერ მიწოდებული სასწავლო მოდულები სერტიფიცირებული იქნება. კოლეჯი „იკაროსი" 3 წლის განმავლობაში შევიდა თბილისისა და რეგიონების 52 სკოლაში, რომელთა აღჭურვაზე საკმაოდ დიდი ოდენობის ფინანსები გაიხარჯა. ამჟამად სკოლებში ხორციელდება 5 პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა და მათში მონაწილეობენ კოლეჯ „იკაროსის“ კურსდამთავრებულები. პანდემიის გამო, რადგან ფიზიკური დასწრება შეიზღუდა, სასწავლო პროგრამა ორი წელია რაც დისტანციურად, ზუმის მეშვეობით მიმდინარეობს. ქალბატონმა რუსუდანმა ყურადღება გაამახვილა ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე. მისი თქმით, სკოლის მოსწავლეებს ძალიან უნდათ მასში ჩართვა, კოლეჯი კი სრულადაა აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებით, რაც საჭიროა ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებისთვის.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ იკითხა, თუ იგეგმება პროფესიული განათლების გამოფენის ჩატარება, რაზეც სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორმა, ბატონმა მათე ტაკიძემ უპასუხა, რომ ივნისის თვის დასაწყისში კოლეჯ „სპექტრის“ ეზოში ჩატარდება გამოფენა, რომელსაც დაესწრება დაახლოებით 300 მოსწავლე, ბევრი სტუდენტი და კერძო კომპანიები თავიანთი პავილიონებით.

ბატონმა პაატა რუსაძემ აღნიშნა, რომ კომპანია „ევრომასტერსმა“ მოიპოვა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ გრანტი და ჩაატარა ჩემპიონატი, რომლის ფარგლებშიც, მონაწილეები ეჯიბრებოდნენ გათბობის ქვაბების აწყობაში. გამარჯვებული მონაწილეები სამუშაოდ დაიტოვა კომპანიამ, რამაც ისინი კიდევ უფრო წაახალისა. ბატონი პაატა რუსაძის განმარტებით, მისი კომპანია და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“ ერთობლივად გეგმავდა ქალაქ ბათუმიდან კახეთამდე საშუალო სკოლებში სტუმრობას და მოსწავლეებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობას, რაზ მიზნად ისახავდა მათი მოტივაციის ზრდას. ამდენად, მსგავსი პროექტების მომავალში განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სკოლის მოსწავლეებისთვის, რათა ისინი დაინტერესდნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

ჰიპერმარკეტების ქსელ „გუდვილის“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ხათუნა ჩხარტიშვილმა, აღნიშნა, რომ კომპანია ძალიან აქტიურად არის ჩართული პროფესიულ განათლებაში, იგი კოლეჯ „იკარუსთან“ ერთად ახორციელებს მომზადება-გადამზადების პროგრამებს და არსდროს აქვს კადრების ნაკლებობის პრობლემა. ქალბატონი ხათუნას განმარტებით, „გუდვილს“ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ დახმარებით ჰქონდა დისტანციური ჩართვები ზუმის პლატფორმით თბილისისა და რეგიონის სკოლის მოსწავლეებთან. ამ პროექტში მონაწილეობდა კოლეჯი „ჰორიზონტი“, რომლის პროფესიულ პროგრამებზე მიმართვიანობაც გაიზარდა. ამას გარდა, „გუდვილი“ ატარებდა ღია გაკვეთილებს, რომელზეც მოზარდები ეცნობოდნენ პროფესიული პროგრამების წარმატებულ კურსდამთავრებულებს და ნახულობდნენ მათ ნამუშევრებს.

სხდომის დასასრულს პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ მონაწილეებმა სხდომის მონაწილეებს თავიანთი დადებითი შეფასებები და სამომავლო გეგმები გაუზუარეს. ერთ-ერთმა მონაწილემ, ქალბატონმა ხათუნა ჩხარტიშვილმა მადლობა გადაუხადა თბილისის მუნიციპალიტეტსა და სამინისტროს კარიერაში შესვლის შესაძლებლობისთვის.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ხათუნა ჩხარტიშვილს პირადი გამოცდილების გაზიარებისთვის და აღნიშნა, რომ ძლიერი პროფესიული კადრები

მართლაც იძლევა საშუალებას, რომ დაიძლიოს სიღარიბე ქვეყანაში. მანვე აღნიშნა, რომ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის მომდევნო სხდომები უშუალოდ პროფესიულ კოლეჯებში გაიმართება, თბილისის საკრებულო კი განაგრძობს პროესიული განათლების მხარდაჭერას.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თინათინ ნიბლოშვილმა, გიორგი ტყემალაძემ, ირაკლი გვილავამ, თამარ ქიტიაშვილმა, გიორგი ამილახვარმა, თამარ სამხარაძემ, ნანი დალაქიშვილმა, მათე ტაკიძემ, პაატა რუსაძემ, მარიკა დარჩიამ, გულია გოცირიძემ, რუსუდან ჩართოლანმა, ხათუნა ჩხარტიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი